ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორია

პროექტი

საქართველოს ბიზნესი პირველი უნივერსიტეტისთვის

[პროექტი დამტკიცებულია ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის სხდომის ოქმით (N4 / 9.12.2016

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ბრძანება N 30/29-01 26.12.2016]

იდეის და პროექტის ავტორი: ეკატერინე გულუა

საინიციატივო ჯგუფი:

ნატალია ხარაძე

ტარიელ ლომია

სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი:

სალომე ოდიშვილი,

ანი კობერიძე

ირაკლი იაშვილი

გიორგი სუთიძე

მარიამ მალაზონია

ნინო შეწირული

თამთა ფირცხალაიშვილი

თბილისი 2016

შინაარსი:

1. პროექტის ზოგადი აღწერა
2. რისკები
3. პროექტის მიზანი და ინტერესთა ჯგუფები
4. პროექტის მმართველი ჯგუფი
5. პროექტის პროცესის ეტაპები დროის განრიგი
6. პროექტის SWOT ანალიზი
7. ბიზნესისთვის შესათავაზებელი წინადადებები

1. პროექტის ზოგადი აღწერა

პროექტი გულისხმობს თსუ–ს X კორპუსის შეკეთება–კეთილმოწყობას, რათა იქცეს საუკეთესო გარემოდ ცოდნის მიღებისთვის, ბიზნეს შეხვედრების და ფორუმების მოწყობის არეალად.

პროექტის ფარგლებში მოხდება საქართველოს ბიზნესების მიერ აუდიტორიების კეთილმოწყობა და აღჭურვა. შესაბამისად, ამ აუდიტორიებში განთავსდება ბიზნესების საფირმო ნიშნებით დატვირთული აქსესუარები, რაც თვალნათელს გახდის მათ წვლილს აღნიშნული აუდიტორიის მოწყობაში.

ერთჯერადად გაღებული ქველმოქმედება დარჩება მუდმივ რეკლამად თაობების მეხსიერებაში. იდეის განხორციელება მოხდება ადამიანისეული პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ეგიდით.

კორპუსის შეკეთების შემდეგ კი ჩატარდება ბიზნეს ფორუმი და სტუდენტთა და მეცნიერთა კონფერენცია.

პროექტი ვადების დაცვის შემთხვევაში სრულად დამთავრდება 2017 წლის ნოემბერში.

2. რისკები

რისკები დაკავშირებული შეიძლება იყოს:

1. უნივერსიტეტის ფარგლებში ანალოგიური პროექტის (მსგავსი მასშტაბით) განხორციელების გამოცდილების არარსებობასთან.
2. მიღწეული შეთანხმებების ვადების შეუსრულებლობასთან.

3. პროექტის მიზანი და ინტერესთა ჯგუფები

<u>პროექტის მიზნებია:</u>

1. თსუ–ს X კორპუსის შეკეთება–კეთილმოწყობა საქართველოს ბიზნესის მიერ
2. ბიზნეს–ფორუმის მოწყობა თსუ–ს X კორპუსში.
3. თსუ–ს X კორპუსში სწავლის/სწავლების და სტუდენტური ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.
4. უნივერსიტეტსა და ბიზნესს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება.

<u>პროექტით დაინტერესებული/ მონაწილე მხარეები:</u>

1. თსუ: ადმინისტრაცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პერსონალი, სტუდენტები.
2. საქართველოს ბიზნეს ორგანიზაციები.
3. საქართველოს მთავრობა.

<u>პროექტის განხორციელებით შედეგად მიღებული სარგებლის აღწერა:</u>

პროექტის განხორციელების შედეგად:

1. **სტუდენტები –** მიიღებენ სწავლის და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებულ პირობებს, მიიღებენ უკეთეს ცოდნას;
2. **აკადემიური პერსონალი** – მიიღებს სწავლებისათვის, კვლევითი მუშაობისთვის და განვითარებისთის საუკეთესო პირობებს;
3. **უნივერსიტეტის ადმინისტრაცია –** მიიღებს გაუმჯობესებულ სამუშაო გარემოს, პროცესების ადმინისტრირების/კონტროლის საუკეთესო საშუალებებს;
4. **თსუ –** მიიღებს იმიჯის გაუმჯობესებას საზოგადოებაში. დაამყარებს ხანგრძლივვადიან კავშირს ბიზნესის სექტორთან, შედგება ცოდნის სამკუთხედი: ბიზნესი, უმაღლესი განათლება, მეცნიერება;
5. **ბიზნესი** – მიიღებს ხანგრძლივვადიან, იაფ რეკლამას, დადებით რეპუტაციას პოტენციურ შრომის ბაზარზე; აუდიტორიებს ივენთებისთვის.
6. **ბაზარი –** მიიღებს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს;
7. **ქვეყანა** – მიიღებს ავტორიტეტულ პირველ უნივერსიტეტს, კვალიფიცირებულ კადრებს.

4. პროექტის მმართველი ჯგუფი

პროექტის განხორციელებას უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი მმართველი ჯგუფი. ის კოორდინაციას გაუწევს პროექტის მიზნების შესრულებას, აგრეთვე დროებითი ოპერატიული ჯგუფების ფორმირებას და ფუნქციონირებას, რომლებიც ჩამოყალიბდება შესასრულებელი ამოცანებიდან გამომდინარე, დროებითი მიზნებისთვის. პროექტის მმართველი ჯგუფი ყალიბდება შემდეგი ძირითადი შემადგენლობით:

<u>**პროექტის მმართველი ჯგუფი:**</u>

<u>**პროექტის კოორდინატორი**</u> – ფაკულტეტის დეკანი თეიმურაზ ბერიძე – კოორდინაციას უწევს პროექტის განხორციელების სრულ პროცესს. აქვს წარმომადგენლობითი ფუნქცია.

<u>**პროექტის აღმასრულებელი მენეჯერი**</u> – ეკატერინე გულუა – ახორციელებს პროექტის მიზნების შესრულების პროცესის აღსრულებას, ანგარიშვალდებულია პროექტის ხელმძღვანელის წინაშე. აქვს წარმომადგენლობითი ფუნქცია.

<u>**პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**</u> – ნატალია ხარაძე – ხელმძღვანელობს პროექტის განხორციელების პროცესში საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესს, ანგარიშვალდებულია პროექტის ხელმძღვანელის წინაშე. აქვს წარმომადგენლობითი ფუნქცია.

პროექტის მმართველი გუნდი გაუწევს კოორდინირებას შემდეგ ჯგუფებს:

1. <u>**მაკოორდინირებელი ჯგუფი**</u> – რომელიც შეასრულებს საოფისე და ოპერატიულ სამუშაოებს. აქ საჭიროების შემთხვევაში იქნებიან ჩართული, როგორც სპეციალისტები (მაგ: იურისტი, ბუღალტერი, ფინანსისტი), აგრეთვე ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაივლიან სტაჟირებას.
2. <u>**კონფერენციების საორგანიზაციო ჯგუფი**</u> – კოორდინირებას გაუწევს სამეცნიერო და სტუდენტთა კონფერენციის ჩატარებას ბიზნეს ფორუმის ფარგლებში.


პროექტის მმართველი გუნდის სქემა
პროექტის კოორდინატორი
აღმასრულებელი მენეჯერი
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
მაკოორდინირებელი ჯგუფი
კონფერენციების საორგანიზაციო ჯგუფი

5. პროექტის პროცესის ეტაპები და დროის განრიგი

განსახორციელებელი ამოცანები:

1. საკანონმდებლო პროცესის მოწესრიგება, რაც უზრუნველყოფს პროცესების ბიუროკრატიული ბარიერების გაიოლებას და ფონდთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
2. პროექტის მენეჯმენტის ჯგუფის შექმნა და მისი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა;
3. პროექტის და შესათავაზებელი წინადადებების დეტალური გეგმის შემუშავება;
4. ბიზნესთან მოლაპარაკების წარმართვა და ხელშეკრულებების გაფორმება;
5. კორპუსის შეკეთება–კეთილმოწყობა (ახორციელებს ბიზნეს–სექტორი);
6. ბიზნეს გამოფენის დაგეგმვა;
7. კონფერენციების დაგეგმვა;
8. ბიზნეს–ფორუმის მოწყობა;
9. შედეგების შეჯამება და პროექტის დახურვა.

N	ამოცანები:	დეკ	იანვ.		თებ.		მარტ.		აპრ.		მაის.		ივნ.		ივლ.		აგვ.		სექტ.		ოქტ.		ნოემ.	
1	პროცესის იურიდიული მხარის მოწესრიგება																							
2	პროექტის მენეჯმენტის ჯგუფის შექმნა																							
3	დეტალური გეგმის შემუშავება																							
4	ბიზნესთან მოლაპარაკების წარმართვა																							
5	კორპუსის შეკეთება–კეთილმოწყობა																							
6	ბიზნეს-გამოფენის დაგეგმვა																							
7	კონფერენციების დაგეგმვა																							
8	ბიზნეს–ფორუმის, კონფერენციის მოწყობა																							
9	შედეგების შეჯამება და პროექტის დახურვა																							

6. პროექტის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
• იდეის ორიგინალურობა • ყველა მხარე გამარჯვებულია • პროექტის მასშტაბურობა • შედეგების მასშტაბურობა	• განსახორციელებელი ღონისძიებების მრავალფეროვნება • მხარდამჭერთა გუნდის ერთობლივი მუშაობის ნაკლები გამოცდილება.
შესაძლებლობები:	**საფრთხეები:**
• მრავალი ახალი შესაძლებლობის გამოჩენის შესაძლებლობა • ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობები • მრავალი გვერდითი დადებითი ეფექტი	• შესაძლო საკანონმდებლო ბარიერები • მიღწეული შეთანხმებების ვადების შეუსრულებლობა.

7. ბიზნესისთვის შესათავაზებელი წინადადებები

1. ჰოლის შეკეთება და კეთილმოწყობა
2. პროფესორის ოთახი და სტუდენტთა სასწავლო აუდიტორია
3. ადმინისტრაციული პერსონალის კუთვნილი ოთახები
4. ბოლო სართულზე ღონისძიებათა ოთახის კეთილმოწყობა
5. სტუდენტთა მოსასვენებელი ოთახის კეთილმოწყობა ბოლო სართულზე
6. სტუდენტთა გამაჯანსაღებელი ცენტრის მოწყობა
7. სველი წერტილების შეკეთება და კეთილმოწყობა
8. ლიფტის კეთილმოწყობა
9. გათბობის და ვენტილაციის სისტემის მონტაჟი
10. ეზოს კეთილმოწყობა
11. შიდა საკომუნიკაციო ქსელის გამართვა
12. ფორუმის ჩატარება